№2550 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

„შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ოქტომბრის №2339 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ოქტომბრის №2339 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

ა) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კომპანია „Pomagalski“-ს მიერ მოსაწოდებელი რევერსული გონდოლებიანი საბაგიროების დასაწყობებისთვის საჭირო სასაწყობო ფართის მოძიება, სასაწყობო შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა;“;

ბ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულად დაფინანსების მიზნით, საქართველოს რეგიონული

განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო) უზრუნველყოს:

ა) „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, 620 000 (ექვსას ოცი ათასი) ლარის მოძიება და კომპანიისათვის გადარიცხვა;

ბ) კომპანიის კაპიტალის გაზრდა გადარიცხული თანხის ოდენობით.“;

დ) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**